საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის განცხადება

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა მიესალმება ევროკავშირის მხრიდან უკრაინასა და მოლდოვასთან გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკების დაწყებას. გულითადად ვულოცავთ უკრაინელ და მოლდოველ ხალხს ამ ისტორიულ მიღწევასა და ევროპული ინტეგრაციის გზაზე ახალ ეტაპზე გადასვლას.

იმედს ვიტოვებთ, რომ საქართველო მალე შეუერთდება მათ რიგებს. ამისათვის, კი აუცილებელია პირველ რიგში საქართველოს პარლამენტმა გააუქმოს ცოტა ხნის წინ მიღებული კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, რომელიც მთავარი ბარიერია ევროინტეგრაციის გზაზე და მთელი ძალისხმევა მიმართონ ევროკომისიის მიერ 9 ნაბიჯით განსაზღვრული რეფორმების განსახორციელებლად.